ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2013 წლის 3 ივნისი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 01 აგვისტოს №31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 01 აგვისტოს №31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ **(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 12.08 2011)**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 01 აგვისტოს №31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“.

დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი №2 საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა)'.

№ რიგზე	საკრებულოს წევრი	ანაზღაურების ოდენობა (ლარი) საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღებისთვის	ანაზღაურების ზღვრული ოდენობა (ლარი) ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის; საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის
1	საკრებულოს თავმჯდომარე	150	250
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	150	200
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	150	150
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	150	150
5	საკრებულოს სხვა წევრები	350	100

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **აკაკი მაჭავარიანი**